ШЕМОСАВЛЕБІС
САМСАХУРІ



საბაჟო გამშვებ პუნქტზე საქონლის გაფორმება

ურთიერთობა მარტივია

რა შემთხვევაში არის შესაძლებელი საქონლის საბაჟო გამშვებ პუნქტზე გაფორმება?

- 10 000 ლარამდე ღირებულების საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას (იმპორტისას); (გარდა საბაჟო გამშვები პუნქტებისა: "სამთაწყარო", "ახკერპი", "მტკვარი");
- საჰაერო ტრანსპორტით ბარგით ან/და ხელბარგით შემოტანილი ნებისმიერი ღირებულების საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას (იმპორტისას);
- უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ, საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის მიერ 15 000 ლარამდე ღირებულების საქონლის (სატრანსპორტო საშუალების, აქციზური საქონლისა და კვების პროდუქტების გარდა) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას (იმპორტისას), რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;
- ფიზიკური პირის მიერ საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას შემოტანილი საქონლის (მათ შორის, ავეჯი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებისა)) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას (იმპორტისას), რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისთვის;

- ფიზიკური პირის მიერ საქართველოდან მუდმივსაცხოვრებლად გასვლისას პირადი ნივთები (გარდა სატრანსპორტო საშუალებისა), ავეჯი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი;
- 3000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების საქონლის შემთხვევაში, რომელიც გაცხადებულია გარე გადამუშავების პროცედურაში. ასევე, აღნიშნული საქონლის გადამუშავების შემდგომ მისი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას (იმპორტისას);
- საბაჟო გამშვებ პუნქტში "ბათუმის პორტი" ან საბაჟო გამშვებ პუნქტში "ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა" კონტეინერით სატრანსპორტო საშუალებებთან ერთად შემოტანილი სხვა საქონლის შემთხვევაში;
- უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (მათ შორის, ოჯახზე თითო მაცივარი, კომპიუტერი, ტელევიზორი) შემოტანისას;
- არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე დროებით (სამსახურებრივი მივლინებით ან შრომითი ხელშეკრულებით) შემოსვლისას, პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის შემოტანისას;
- თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში (იმპორტში) გაცხადებული დაბრუნებული საქონლის შემოტანისას, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი იყო საბაჟო დეკლარაცია - ფორმა 4-ით ან ზედნადების ან ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის საგადასახადო დოკუმენტის წარდგენით ან აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის შემთხვევაში - ზეპირი დეკლარირებით;

- საბაჟო დეკლარაცია - ფორმა 4-ის ან ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის წარდგენით ან ზეპირი დეკლარირებით – ფიზიკური პირის მიერ 15 000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას (გარდა შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის ან სატრანსპორტო საშუალების ექსპორტისა);
- სასაქონლო ზედნადების ან ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის საგადასახადო დოკუმენტის წარდგენით (გარდა შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის ან სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტისა) საქონლის ექსპორტში დეკლარირებისას;
- მრგვალი ხე-ტყის (მორი), ხე-მცენარის ან მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტის ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების ან ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის საგადასახადო დოკუმენტის წარდგენით დეკლარირებისას, რომელთან ერთადაც წარედგინება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ხე-ტყის წარმოშობის ან შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ერევანი-ბათუმი-ერევანი და ბათუმი-ერევანი-ბათუმის სწრაფ სამგზავრო მატარებელში გაფორმებას ექვემდებარება იმპორტის შემთხვევაში 1500 ლარზე და ექსპორტის შემთხვევაში 3000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების საქონელი;

რა სახის გადასახადებს ვიხდით საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლის გაფორმებისას?

იმპორტის გადასახდელი:

- იმპორტის გადასახადი - საქონლის საბაჟო ღირებულების 0%, 5% ან 12% ან ფიქსირებული განაკვეთი(საქონლის სახეობების მიხედვით);
- დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) - საქონლის იმპორტის თანხის 18%;

შენიშვნა: გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა, როდესაც საქონელი გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან.

მომსახურების საფასური:

- **საქონლის სახმელეთო საზღვარზე გაფორმებისას**
  თუ საქონლის საბაჟო ღირებულება 3 000 ლარიდან 10 000 ლარამდეა მომსახურების საფასური შეადგენს 300 ლარს;
- **საქონლის პორტში გაფორმებისას**
  3 000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონლის გაფორმებისას მომსახურების საფასური შეადგენს 20 ლარს;
  3 000 დან 10 000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონლის გაფორმებისას მომსახურების საფასური შეადგენს 300 ლარს;
- **საქონლის საჰაერო საზღვარზე გაფორმებისას**
  3 000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონლის გაფორმებისას მომსახურების საფასური შეადგენს 50 ლარს;
  3 000 დან 15 000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონლის გაფორმებისას მომსახურების საფასური შეადგენს 300 ლარს;
  15 000 ლარს ზევით საბაჟო ღირებულების საქონლის გაფორმებისას მომსახურების საფასური შეადგენს 400 ლარს.